ტესტი №3

მოამზადა მანანა ცხადაიამ

1.გაასწორეთ სტილისტური შეცდომა: ყველაზე უმნიშვნელოვანესი პროგრამა მოგვარებულია.

2. გაასწორეთ მორფოლოგიური შეცდომა:

მოხუცისა და ძალაგამოცლილის ჩიფ-ჩიფი მეტად აღიზიანებდა ზურაბს.

3.გაასწორეთ სინტაქსური შეცდომა:

იმ ადამიანებმა, ვინც ეს ჩაიდინეს, არ უწყოდნენ, რა არის ცოდვა და მადლი.

4. ზმნას შუალობითი კონტაქტი მიუსადაგეთ:

ჩვენ მათ გაგვიკეთეს გრძელი და რთული ტესტი.

5. გაასწორეთ მორფოლოგიური შეცდომა:

უკვე ორი წელიწადია, რაც ჩვენ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობთ.

6. გაარკვიეთ, როგორი ტექსტია:

“ეს ვიცი დანამდვილებით: ჩვენივე შინაგანი გაორების ბრალია ჩვენი პირადი და საზოგადო პრობლემები, თუ არა ის, არ იქნებოდა ამდენი და ასეთი მასშტაბური პრობლემა ჩვენს სამოქმედო ასპარეზზე და არც ამდენი მოღალატე -- ისტორიის ფერწასულ ალმანახში” (ა. გაწერილია).

7. გაასწორეთ მორფოლოგიური შეცდომა: ეს წინადადება ქართულად გადამათარგმნიე.

8. გაასწორეთ სტილისტური შეცდომა:

მასიურ მიტინგზე ოპოზიციის ლიდერებიც გამოჩნდნენ.

9. გაასწოროთ სინტაქსური შეცდომა:

მამა გიორგი თავის სანიმუშო მრევლით ამაყობს.

10. დასვით გამოტოვებული სასვენი ნიშანი:

“დროშები, დროშები, დროშები ჩქარა!” 11.

გაასწორეთ მორფოლოგიური შეცდომა:

დავინახე ჩემსკენ მომავალი რამდენიმე მოსწავლე.

12. განსაზღვრეთ, როგორი ტიპის ტექსტია:

“ფრთამოტეხილი შემოდგომაა. ხიდზე მოკუნტული დედაბერი გადმოდის. ვუყურებ. ჩემკენ მოდის. თავი ჩაუქინდრავს. არ მიყურებს. ვერ ვცნობ, მაგრამ მაინც, რატომღაც, დედაჩემი მგონია.” (რ. ინანიშვილი).

13. ავთანდილის ანდერძში ვკითხულობთ:

„მიეც ზოგი ხანაგათა, ზოგი ხიდთა ასაგებლად...“

რა არის „ხანაგა“?

14. გაიხსენეთ “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან”, რომელი მონასტრის მოლოცვის შემდეგ აღფრთოვანდა და მოიხიბლა მეფე ბაგრატ კურაპალატი ბერმონაზონთა ცხოვრების წესით?

15. გაიხსენეთ “სამანიშვილის დედინაცვალი”:

“სასამართლოში მომლოდინეთა შორის ბედნიერი ერთადერთი მალხაზი ბიჭი იყო.”

აქ “მალხაზი” საკუთარი სახელია, თუ ზედსართავი სახელი?